Erasmus+ საერთაშორისო კვირეული - სალექციო კურსი მასალათმცოდნეობაში აფიონის კოჩატეპეს უნივერსიტეტში (Afyon Kocatepe University – AKU)

23-27.05.2022 აფიონის კოჩატეპეს უნივერსიტეტში (Afyon Kocatepe University – AKU) (აფიონი, თურქეთი) გაიმართა Erasmus+ საერთაშორისო კვირეული, სადაც მონაწილეობა მიიღო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ლოლაძემ. ღონისძიებაში მონაწილეობდა მსოფლიოს 21 ქვეყნის სხვადასხვა უნივერსიტეტის 52 წარმომადგენელი, მათ შორის: საფრანგეთიდან, გერმანიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, ესპანეთიდან, იტალიიდან, პოლონეთიდან, თურქეთიდან, ბულგარეთიდან, სლოვაკეთიდან, ესტონეთიდან, ლიეტუვადან, ბელარუსიდან, რუმინეთიდან, საქართველოდან, იორდანიიდან, უკრაინიდან, მოლდოვადან, ალჟირიდან, ბოსნია ჰერცეგოვინადან, სამხრეთ აფრიკიდან, მავრიკიდან.

Erasmus+ საერთაშორისო კვირეულის მონაწილეებმა დაათვალიერეს აფიონის კოჩატეპეს უნივერსიტეტის კამპუსები, მასალათმცოდნეობის საექსპერტო ლაბორატორია, ინჟინერიის ფაკულტეტი და მისი ლაბორატორიები, დაესწრნენ პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეობებს, სადაც ფაკულტეტისა და ლაბორატორიების ხელმძღვანელებმა უნივერსიტეტის სტუმრებს გააცნეს თავიანთი მიღწევები სასწავლო და სამეცნიერო სფეროში. კვირეულის მონაწილეები ასევე ეწვიენ სტუდენტური დღეების ფარგლებში მოწყობილ გამოფენას, სადაც სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებმა წარმოადგინეს მათ მიერ შექმნილი პროექტები, ახალი მასალები, ხელსაწყოები და მანქანა-დანადგარები; სტუმრები დაესწრნენ სტუდენტების შემოქმედებით კონცერტს და მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში.

აფიონის კოჩატეპეს უნივერსიტეტში Erasmus+ მობილობის ფარგლებში სტუ-ს ასოც. პროფ. თამარ ლოლაძემ უნივერსიტეტის მასალათმცოდნეობისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე მასალათმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტებს წაუკითხა საჯარო ლექციები ისეთ თემებზე, როგორიცაა კომპოზიციური მასალები, ნანოფხვნილები და დანაფარები, სპეციალური დანიშნულების მასალები. სტუდენტებთან მან ასევე ისაუბრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო აქტივობების შესახებ და მონაწილეობა მიიღო დისკუსიებში.

ქართველი პროფესორი ესტუმრა უახლესი აპარატურით აღჭურვილ ლაბორატორიებს და გაეცნო თურქი კოლეგების მდიდარ გამოცდილებას.

პროფ. აიჰან ეროლთან, სერჰატ ბაშპინართან და სხვა თურქ კოლეგებთან და სხვადასხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ერთად განიხილეს სასწავლო და სამეცნიერო სფეროში მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივები.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო კვირეული Erasmus+ გაცვლითი პროგრამის KA107 პროექტის ფარგლებში ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და რომლის კოორდინატორია თურქეთის აფიონის კოჩატეპეს უნივერსიტეტი. საგულისხმოა, რომ საქართველოს პარტნიორი უნივერსიტეტებიდან ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად კოორდინატორმა უნივერსიტეტმა შეარჩია სტუ-ს და თსუ-ს პროფესორები.

Faculties (12)

Teknoloji Fakültesi Laboratuvarları
Technology Faculty Laboratories